დამტკიცებულია სსიპ-ბათუმის ხელოვნების
სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი
საბჭოს 2018 წლის 28 მარტის №05-01/05 გადაწყვეტილებით

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აფილირების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულება

წინამდებარე წესი არეგულირებს სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში-უნივერსიტეტი/ბხსუ) აკადემიური პერსონალის აფილირების წესსა და პირობებს, ადგენს აფილირებასთან დაკავშირებით აკადემიური პერსონალისა და უნივერსიტეტის უფლებებსა და მოვალეობებს.

მუხლი 2. აფილირება

1. აფილირება გულისხმობს უნივერსიტეტსა და აკადემიური თანამდებობის მქონე პირს შორის წერილობით შეთანხმებას (აფილირების შეთანხმება), რომლითაც თითოეული აკადემიური თანამდებობის მქონე პირი (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) განსაზღვრავს თავის აფილირებას მხოლოდ სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტთან და მისი სახელით მონაწილეობს საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესებში და უნივერსიტეტში:

ა) ახორციელებს ძირითად საგანმანათლებლო, კვლევით/სამეცნიერო/ შემოქმედებით/ საშემსრულებლო საქმიანობას და ამ საქმიანობიდან გამომდინარე მისი კვლევითი / სამეცნიერო / შემოქმედებითი / საშემსრულებლო საქმიანობის შედეგები ეთვლება ბხსუ-ს;

ბ) აქტიურად არის ჩართული ბხსუ-ში საგანმანათლებლო, კვლევით/სამეცნიერო/ შემოქმედებით/საშემსრულებლო და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესებში;

გ) აქტიურად არის ჩართული სტუდენტებისათვის კონსულტაციების გაწევისა და კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობის ხელმძღვანელობის პროცესებში.

2. უნივერსიტეტში არ შეიძლება პირის აფილირება, თუ:

ა) პირი აფილირებულია სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

ბ) უნივერსიტეტის გარდა დასაქმებულია სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რის გამოც მას ხელი ეშლება უნივერსიტეტში დადგენილი აფილირების მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილებაში, რაც მოწმდება სასწავლო პროცესის მიმდინარე მონიტორინგითა და აკადემიური დატვირთვის წლიური მოცულობის შესრულების გაკონტროლებით.

3. აფილირებული პირი ასრულებს ყველა იმ მოვალეობას და სარგებლობს ყველა იმ უფლებით, რომელიც უნივერსიტეტში დადგენილია შესაბამისი აკადემიური თანამდებობისათვის და მასთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით.

4. აფილირებასთან დაკავშირებით უნივერსიტეტისათვის მიწოდებული ინფორმაციის სისრულესა და უტყუარობაზე პასუხისმგებელია აფილირებული პირი.

მუხლი 3. აფილირებასთან დაკავშირებული პროცედურები

1. პირი, რომელსაც სურს დაიკავოს უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობა, აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვალდებულია გაეცნოს წინამდებარე წესის მოთხოვნებს და წერილობით დაეთანხმოს (დანართი №1) ან არ დაეთანხმოს მხოლოდ ბხსუ-სთან აფილირებას და დაადასტუროს ინფორმაცია იმის შესახებ, გააჩნია თუ არა ძალაში მყოფი ანალოგიური ხასიათის დოკუმენტი (ხელშეკრულება, შეთანხმება ან სხვ.) სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან. **(14.06.2024,№05-01/03)**

1[1]. უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის დასაკავებელ კონკურსში მონაწილეობის მიღებისას უპირატესობა მიენიჭებათ იმ კონკურსანტებს, რომლებიც გამოხატავენ წინასწარ წერილობით თანხმობას აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შემთხვევაში ბხსუ-სთან აფილირებაზე. **(14.06.2024,№05-01/03)**

1[2]. აფილირების პირობით აკადემიური თანამდებობის დასაკავებელ კონკურსში მონაწილე კონკურსანტი აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შემთხვევაში ვალდებულია ბხსუ-სთან გააფორმოს აფილირების შეთანხმება (დანართი №2). **(14.06.2024,№05-01/03)**

2. აფილირების შეთანხმება იდება შრომითი ხელშეკრულების მოქმედების ვადით.

3. აფილირებული აკადემიური პერსონალის აფილირება სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან არ იწვევს აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის გაუქმებას და შრომითი ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტას. **(08.10.2021,№05-01/03; 14.06.2024,№05-01/03**)

4. უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირი, რომელსაც სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში აქვს აკადემიური/სასწავლო დატვირთვა, ვალდებულია აღნიშნულის შესახებ ყოველი სასწავლო წლის დაწყებამდე (აგრეთვე, ნებისმიერ დროს, დატვირთვის გაზრდისას, ასეთი ცვლილებიდან 10 დღის ვადაში) წარმოადგინოს ინფორმაცია აკადემიური დატვირთვის ოდენობის, მათ შორის, მაგისტრანტებისა და დოქტორანტების ხელმძღვანელობის შესახებ.

5. **(ამოღებულია-14.06.2024,№05-01/03)**

მუხლი 4. გარდამავალი დებულება

უნივერსიტეტის ის აკადემიური პერსონალი, რომელსაც გააჩნია ამ წესის ძალაში შესვლის დროისათვის მოქმედი შრომითი ხელშეკრულება ვალდებულია უნივერსიტეტთან გააფორმოს აფილირების შეთანხმება.